1918-1921 წლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა



1918-1921 წლები დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლების ხანაა, დრო, რომელსაც სამწუხაროდ არ ეწერა ხანგრძლივად არსებობა, დრო, რომელიც იყო თავისი მასშტაბით ასე მცირე მაგრამ ასე სახელოვანი. სამი წლის შუალედში საქართველომ და ქართველმა ხალხმა იხილა, როგორც გამარჯვების სიხარული ასევე მარცხის სიმწარეც.

,, *სამი წელი დემოკრატიიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით ვიდრე ჩვენი მონობის 100 წელი*“- ამ სიტყვებით შეამკო კონსტანტინე გამსახურდიან საქართველოს სამ წლიანი დამოუკიდებლობა.

ამ მოკლე პერიოდში ორი თარიღია განსაკუთრებით აღსანიშნავი: 1918 წლის 26 მაისი- სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც ასევე იყო პროგრესისკენ სვლის მცდელობა და 1921 წლის 25 თებარვალი, დღე როდესაც დაეცა დამოუკიდებლობა.

ჯერ კიდევ, 1917 წლის თებერვალში, თბილისში დავით ვაჩნაძის სახლში შემდგარა გასაიდუმლოებული შეხვედრა, სადაც შეკრებილები ყოფილან: ნოე ჟორდანია, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, იოსებ გედევანიშვილი , მელიტონ ქარცივაძე, ევგენი გეგეჭკორი და თავად დავით ვაჩნაძე. სწორედ ამ შეხვედრაზე მიუღიათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტილება, უბრალოდ საჭირო იყო სწორი მომენტის შერჩევა.

„1917 წელი ერთ საღამოს შევიკრიბეთ ერთი ჩვენი მეგობრის სახლში ერთი კახელი, ერთი გურული, ერთი მეგრელი, ერთი ქართლელი და ერთი იმერელი. ეს იმერელი მე ვიყავი. მაშინ წყდებოდა საქართველოს ბედი და თითქოს რაღაც განგებით ამ მცირე კრებას თითქმის ყველა კუთხის კაცი ესწრებოდა“.- წერს დავით ვაჩნაძე.

1918 წლის 26 მაისს თბილისში შეიკრიბა სეიმის უკანასკნელი სხდომა. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 წევრობის კანდიდატი.

„მოქალაქენო, აქ თქვენ დღეს მოწმენი იყავით ერთ ისტორიულ ამბისა: დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულისა და ამავე დროს ტრაგიკული აქტის. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“- ამ სიტყვებით გახსნა ნოე ჟორდანიამ სხდომა. (ეს სიტყვები შემდგომ გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოში“ – 1918 წლის 28 მაისს).

საბოლოოდ კი 1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთზე ეროვნულმა საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის“ აქტი და დაამტკიცეს საქართველოს დროებითი მთავრობა.

დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება, იყო ახალი ეპოქის დასაწყისი. თავის მხრივ, ეს ეპოქა სავსე იყო იმედით, თავისუფლებისა და დამოუკდებლობის სურვილით. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის კურსს, მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოს იმდროინდელმა მთავრობამ დასავლეთი აირჩია- მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად კი გერმანია.

საქართველოს დამოუკიდებლობას თავიდანვე მტრულად შეხვდა რუსეთი. მის მიზანს წარმოადგენდა ცარისტული იმპერიის აღდგენა, სრულ საზღვრებში. მოგეხსენებათ, 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც, რუსეთმა აღიარა საქართელოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა. თუმცა, ამით სულაც არ უთქვამს უარი თავის სურვილებზე და პარალელურ რეჟიმში სახედრო ინტერვენციისათვის ემზადებოდა.

1920 წლის შემდგომ, გართულდა საგარეო ურთიერთობები. თუმცა ამის მიუხედავად ნოე ჟორდანია შემდეგ განცხადებებს აკეთებდა: *”ჩვენ არ ვართ მარტო, მთელი ევროპა განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა ჩვენთან არის”.*

1921 წლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა’ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. ცალკეულმა შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა იერიში მიიტანეს აფხაზეთისა და ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელებზე. თუმცა, ცხარე ბრძოლის მიუხედავად 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში წითელი დროშა ფრიალებდა.

ავტორი: ნინა ხუჭუა